აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №6

01/09/2024 წელი **ქ. ბათუმი**
14⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **- პარმენ ჯალაღონია.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მელაძე - უსკოს თავმჯდომარის მოადგილე;

ტარიელ გოგიტიძე - უსკოს მდივანი;

ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;

მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;

ზაალ ზაალიშვილი - უსკოს წევრი;

ციალა შავაძე - უსკოს წევრი;

ემზარ თოდუა – უსკოს წევრი - პ/გ „ევროპელი სოციალისტები“;

სულხან ტაკიძე - უსკოს წევრი **-** პ/გ „კი ევროპას-სტრატეგია აღმაშენებელი“;

დავით ქარცივაძე - უსკოს წევრი - პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

ივანე ფირცხალაიშვილი – უსკოს წევრი - პ/გ „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“;

კახაბერ ჯაიანი - კომისიის წევრი - პ/გ „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“;

გიორგი ხოკერაშვილი - კომისიის წევრი - პ/გ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“;

ზურაბ გოლიაძე - კომისიის წევრი - პ/გ „გირჩი“;

სალომე რაზმაძე - კომისიის წევრი - პ/გ „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“.

არ ესწრებოდნენ:

თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი;
ავთანდილ იაკობიძე – უსკოს წევრი - პ/გ „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“.

აგრეთვე ესწრებოდნენ:

სულხან ჩოგაძე - საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ფრიდონ ბათნიძე - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ლევან სამნიძე - საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსი.

რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები უსკოში.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, მიულოცა პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნულ უსკოს წევრებს: კახაბერ ჯაიანს, გიორგი ხოკერაშვილს, ზურაბ გოლიაძეს და სალომე რაზმაძეს უსკოს წევრად დანიშვნა და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, საარჩევნო პერიოდში პარტიების მიერ უსკოს დროებით წევრებს ნიშნავს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-13 მუხლით გათვალისწინებული პოლიტიკური პარტიები, რომელთა გადაწყვეტილებაც უსკოს წევრის დანიშვნის თაობაზე უნდა წარედგინოს უსკოს არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 3 კალენდარული დღის ვადაში. პარმენ ჯალაღონიამ კომისიას გააცნო პ/გ „ერთიანობა-ნაციონალური

მოძრაობი“-ს მიერ უსკოს წევრად დანიშნული წევრი, კახაბერ ჯაიანი (უსკოში რეგისტრაციის №01-26/35 თარიღი 28/08/2024 წელი), პ/გ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“-ს მიერ უსკოს წევრად დანიშნული წევრი გიორგი ხოკერაშვილი (უსკოში რეგისტრაციის №01-26/37 თარიღი 28/08/2024 წელი), პ/გ ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩი“-ს მიერ უსკოს წევრად დანიშნული წევრი ზურაბ გოლიაძე (უსკოში რეგისტრაციის №01-26/38 თარიღი 28/08/2024 წელი) და პ/გ „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“-ს მიერ დანიშნული უსკოს წევრი სალომე რაზმაძე (უსკოში რეგისტრაციის №01-26/40 თარიღი 29/08/2024 წელი) რის შემდეგაც, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა შრომის ანაზღაურების გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ;

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრისა და აპარატის თანამშრომლის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ;

5. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 15;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 15 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრის შესახებ;

2. განკარგულება
საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა შრომის ანაზღაურების გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ;

4. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრისა და აპარატის თანამშრომლის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ.

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს გააცნო და წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრის შესახებ პროექტი და აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 28 აგვისტოს №5 დადგენილების თანახმად, საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის უკვე მიენიჭათ რიგითი ნომრები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მიენიჭებათ იგივე რიგითი ნომრები.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 15;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 15 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 38[1] მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 45-ე მუხლის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „რიგითი ნომრის მინიჭების დამატებითი წესის განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 28 აგვისტოს №5 დადგენილების და „საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრების განსაზღვრის შესახებ “ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 16 აგვისტოს №66/2024 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრირებულ პარტიებს განესაზღვროთ შემდეგი რიგითი ნომრები:

1. №1 – „კი ევროპას“;
2. №4 – „ახალი ერთობა გვარამია მელია“;
3. №5 – „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“;
4. №6 – „ევროპელი დემოკრატები“;
5. №8 – „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;
6. №9 – „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“;

7. №12 – „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“;

8. №15 – „სამართლიანობისთვის“;

9. №17 – „საქართველო“;

10. №20 – „თავისუფალი საქართველო“;

11. №21 – ტრიბუნა;

12. №25 – „გახარია საქართველოსთვის“;

13. №36 – გირჩი;

14. №41 – ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

2. განკარგულება

საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა შრომის ანაზღაურების გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო და წარუდგინა „საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა შრომის ანაზღაურების გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ“, განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ თუ ერთდროულად ტარდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, საარჩევნო ოლქების და საუბნო კომისიების ფუნქციებს ასრულებენ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად საერთო არჩევნებისთვის ჩამოყალიბებული საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები. ვინაიდან ერთდროულად ტარდება ორივე არჩევნები საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, უსკო უფლებამოსილია გასცეს ცესკოს მიერ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დადგენილი შრომის ანაზღაურების ზღვრული ოდენობა, არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან.

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჯაიანმა, ციალა შავაძემ, ზურაბ გოლიაძემ, სულხან ტაკიძემ და პარმენ ჯალაღონიამ.

კახაბერ ჯაიანმა აღნიშნა, რომ როგორც ცნობილია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს შესაბამისად, ცესკოს მიერ არჩეულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს (5 წევრი) და საარჩევნო პერიოდში დანიშნულ/არჩეულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის შრომის ანაზღაურება განსხვავებულია და ითხოვა თუ ბიუჯეტი იძლეოდა შესაძლებლობას გაეთანაბრებინათ საარჩევნო პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების შრომის ანაზღაურება. ასევე აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში მათ პასუხიმგებლობა ერთნაირად ეკისრებათ და მიაჩნია, რომ ანაზღაურებაც ერთნაირი უნდა ჰქონდეთ.

ციალა შავაძემ აღნიშნა, რომ მას აქვს საოლქო საარჩევნო კომისიაში მუშაობის გამოცდილება და თვლის, რომ დიფერენცირება ხელფასებს შორის დატვირთვის შესაბამისია.

სულხან ტაკიძემ აღნიშნა, რომ იზიარებს მოსაზრებას, რომ ყველა წევრს თანაბარი შრომის ანაზღაურება უნდა ჰქონდეს.

ზურაბ გოლიაძემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხს კანონი არეგულიერებს და არა ვინმეს შრომა.

პარმენ ჯალაღონიამ კომისიას განუმარტა, რომ საქართველოს პარლამენტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ერთდროულად ჩატარების შემთხვევაში უმაღლესი საარჩევნო კომისია განსხვავებულ შრომის ანაზღაურებას ვერ დაადგენს, უმაღლესი საარჩევნო კომისია უფლებამოსილია გასცეს ცესკოს მიერ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის დადგენილი შრომის ანაზღაურების ზღვრული ოდენობა და კომისიას შესთავაზა ცესკოს მიერ დადგენილი ოდენობის ერთმაგი ოდენობა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა შრომის ანაზღაურების გაცემისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ, განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 10;

წინააღმდეგი 2;

თავი შეიკავა 3;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 15 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-12 მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების პერიოდში №79; №80; №81; №82; №83 და №84 საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებზე და კომისიის წევრებზე ყოველთვიურად გაიცეს შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო) და ყოველთვიურად გასაცემი შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგოს), ოდენობა განისაზღვროს „საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა და წევრთა შრომის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 29 დეკემბრის №299/2017 განკარგულებით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

2. ამ განკარგულების შესრულება დაევალოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის საფინანსო საბიუჯეტო დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო და წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო საბუთების სახეების დადგენის შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 15;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 15 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დადგინდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის შემდეგი საარჩევნო საბუთების სახეები თანდართული ნიმუშების შესაბამისად:

ა) საერთაშორისო დამკვირვებლის მოწმობა უსკოში-დანართი 1;
ბ) ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობა უსკოში-დანართი 2;
გ) ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობა ოლქში-დანართი 3;
დ) ადგილობრივი დამკვირვებლის მოწმობა უბანში-დანართი 4;
ე) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების სააკრედიტაციო ბარათი-დანართი 5.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

4. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრისა და აპარატის თანამშრომლის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, გააცნო და წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრისა და აპარატის თანამშრომლის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრისა და აპარატის თანამშრომლის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 15;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 15 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ და „ჩ“ ქვეპუნქტების და და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრისა და აპარატის თანამშრომლის მოწმობის ფორმის დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2010 წლის 29 დეკემბრის №7განკარგულება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე
(თან ერთვის)

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **ტარიელ გოგიტიძე**